



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 83
29/12/2017

83-04-4-201712291518



ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული დაბა ქედა აბუსერიძის ქუჩა N16-ში მდებარე საცხოვრებელი ბინების მიმდებარედ არსებული 2500 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია, ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედა აბუსერიძის ქუჩა N16-ში მდებარე საცხოვრებელი ბინების მიმდებარედ არსებული 2500 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N21.03.34.377). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა 2017 წლის 20 დეკემბრის N2103/02 წერილით ითხოვს აღნიშნული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ქედა აბუსერიძის ქუჩა N16-ში მდებარე საცხოვრებელი ბინების მიმდებარედ არსებული 2500 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადაცემას, რაც ხელს შეუწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის პროგრამის პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს საჯარო რეესტრში თვითმმართველი თემის ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედა აბუსერიძის ქუჩა N16-ში მდებარე საცხოვრებელი ბინების მიმდებარედ არსებული 2500 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N21.03.34.377).

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით

გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და მისი მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიების გატარება.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხემძღვანელმა - აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე



საკრებულოს თავმჯდომარე